მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს სამოთხეში, და მან უპასუხა:«ალლაჰის მოშიშობა და კეთილზნეობა

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს სამოთხეში, და მან უპასუხა:«ალლაჰის მოშიშობა და კეთილზნეობა», ხოლო როდესაც ჰკითხეს, რა უფრო მეტად შეიყვანს ადამიანებს ჯოჯოხეთში, მან უპასუხა: «ენა და სასქესო ორგანო».

[ჰასან საჰიჰ] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ, იბნ მააჯამ და აჰმადმა]

ალლაჰის მოციქულმა განმარტა, რომ არსებობს ორი უდიდესი მიზეზი, რომელთაც ადამიანი შეჰყავს სამოთხეში, ესენია: ალლაჰის შიში და კარგი ზნეობა. ღვთისმოშიშობა — ეს არის, როცა შენ აღმართავ ბარიერს შენსა და ალლაჰის სასჯელს შორის, იმის შესრულებით, რაც მან გიბრძანა და იმისგან გაფრთხილებით, რაც ალლაჰმა აკრძალა. კეთილზნეობა — ეს არის კეთილგანწყობილი და ღიმილიანი სახე, სიკეთის კეთება და სხვებისთვის ზიანის მიყენებისგან თავშეკავება. და ასევე ჯოჯოხეთში შესვლის უდიდესი მიზეზი არის ორი, ესენია: ენა და სასქესო ორგანო. ენის ზიანი არის: ტყუილი, ზურგს უკან სხვაზე ცუდის თქმა, ჭორაობა, და ა.შ. სასქესო ორგანოს ზიანი არის: მრუშობა, მამათმავლობა და სხვა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5476

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee